



პროფესიულ სტუდენტთა გზამკვლევი

შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო

მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, წერეთლის გამზირი #142

ელ. ფოსტა: medicalschoo3@gmail.com

ვებ-გვერდის მისამართი: www.medicalschoo3.edu.ge

ფეისბუქი: www.facebook.com/medicalschoo3.edu.ge/

თბილისი 2023

ს ა რ ჩ ე ვ ი

§1. სტუდენტის უფლება-მოვალეობა	5
1.1 კოლეჯის სტუდენტს აქვს უფლება:.....	5
1.2 კოლეჯის პროფესიული სტუდენტის ვალდებულება:	5
1.3 სტუდენტის / მსმენელის ქცევის წესები და პასუხისმგებლობა	6
1.4 კოლეჯის ტერიტორიაზე პროფესიულ სტუდენტებს / მსმენელებს ეკრძალებათ:	6
1.5 პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა	7
§2. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვება და წარსადგენი დოკუმენტაცია.....	7
2.1 პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვება და წარსადგენი დოკუმენტაცია.....	8
2.2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ:.....	9
2.3 მეურვის არსებობის შემთხვევაში დამატებით წარსადგენია:	9
2.4 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოიცავს შემდეგ ეტაპებს:	9
§3. სტუდენტის დატვირთვა და კრედიტების განაწილება	10
§4. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერება და აღდგენა.....	10
§5. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენა.....	Error! Bookmark not defined.
§6. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა.....	12
§ 7. პროფესიული სტუდენტის მობილობა.....	12
§ 8. ფორმალური განათლების აღიარება.....	13
.....	13
8.1ფორმალური განათლების აღიარება	13
§ 9.პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება	14
§ 10. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა	15
10.1 საკვალიფკაციო გამოცდის ჩატარების მექანიზმი.....	15
10.2. განმეორებითი გამოცდა.....	16
§11. პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების /	16
შეფასების აპელაციის პროცედურა.....	16
§12. კვლიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა.....	17
§13. პროფესიული სტუდენტისათვის ცნობის გაცემის	17

პროცედურა 17

§14. სტუდენტური ცხოვრება და სერვისები სტუდენტური თვითმმართველობა..... **Error!**
Bookmark not defined.

§16. ბიბლიოთეკა..... 18

კოლეჯი მესამე სამედიცინო

დირექტორის მიმართვა

კოლეჯი მესამე სამედიცინო გაძლევთ კარიერული განვითარების შანსს!!!

მოგესალმებით!

კოლეჯი მესამე სამედიცინო გთავაზობთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ჯანდაცვის მიმართულებით, სწავლების მაღალ ხარისხს, რომელსაც უზრუნველყოფენ მაღალკვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლები. კოლეჯში დაგხვდებათ კეთილგანწყობილი ადმინისტრაციული პერსონალი, რომელიც იზრუნებს თქვენთვის კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნაზე, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს თქვენი შესაძლებლობების გამოვლენას და რეალიზებას. ჩვენ ,თქვენთან ერთად ვქმნით ჰუმანურობას, პატივისცემის, პროფესიონალიზმის ატმოსფეროს კოლეჯში და ვზრუნავთ საერთო მიზნის მიღწევისთვის.

კოლეჯს აქვს სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისთვის, სამედიცინო ოთახი პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის. შენობის ყველა სართულზე შესაძლებელია მუდმივი ინტერნეტით სარგებლობა. კოლეჯში უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. შენობა და მიმდებარე ტერიტორია კონტროლდება სათვალთვალო კამერით. კოლეჯი მესამე სამედიცინო, პროფესიულ სტუდენტებს გთავაზობთ ბევრად მეტს, ვიდრე მხოლოდ სწავლება.

კოლეჯი გეგმავს პროფესიული განვითარების აქტივობებს და ასევე, გთავაზობთ თქვენი ინიციატივების მხარდაჭერას. ჩვენი გუნდის ყველა წევრისთვის მნიშვნელოვანია თითოეული პროფესიული სტუდენტის მოსაზრება და ამიტომაც ყოველთვის მზად ვართ, თქვენთან ერთად ვიმსჯელოთ სასწავლო პროცესის მუდმივ სრულყოფაზე, ვიზრუნოთ ხარისხის განვითარებაზე, რათა უკეთ დავაკმაყოფილოთ თქვენი მოლოდინები, მოთხოვნები და ინტერესები. თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კოლეჯში მიღებული თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ჩვენი კურსდამთავრებულები შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანები არიან და წარმატებით საქმდებიან მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად.

ვიმედოვნებ, რომ ჩვენ მიერ მომზადებული კატალოგი დაგეხმარებათ შეარჩიოთ თქვენთვის სასურველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ჩვენ გპირდებით მაღალი ხარისხის განათლებას!

გისურვებთ წარმატებებს!!!

§1. სტუდენტის უფლება-მოვალეობა

1.1 კოლეჯის სტუდენტს აქვს უფლება:

- მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაში;
- დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის უფლებების შეზღუდვა, თუ იგი არ ემსახურება: სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მაღალი ხარისხის სწავლების, დისციპლინისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ან არ არის მიმართული ამ წესით დადგენილი კოლეჯის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთისათვის;
- კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდასამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებების გარდა კოლეჯის პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია: მოთხოვოს კოლეჯის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით, პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება; ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით; მიიღოს კოლეჯის ადმინისტრაციისგან ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი; მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში; მიიღოს მონაწილეობა კოლეჯის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებაში; გაასაჩივროს დადგენილი წესით მიღებული შეფასება, შეფასების პროცედურის დარღვევა.

1.2 კოლეჯის პროფესიული სტუდენტის ვალდებულება:

- დაიცვას კანონმდებლობის, კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;
- შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნები;
- შეასრულოს კოლეჯთან დადებული სასწავლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

- დაიცვას სხვა პირების უფლებები და კანონიერი ინტერესები;
- სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით არ გამოიყენოს პლაგიატი;
- გაუფრთხილდეს კოლეჯის ინფრასტრუქტურას;
- იმოქმედოს იმგვარად, რომ არ შეურაცხყოს კოლეჯის პრესტიჟი.

1.3 სტუდენტის / მსმენელის ქცევის წესები და პასუხისმგებლობა

- პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ დაწესებულების პრესტიჟს, ზუსტად დაიცვან კოლეჯის ტერიტორიაზე ქცევის წესები, აგრეთვე ეთიკის ნორმები კოლეჯის პერსონალთან და სხვა სტუდენტებთან/მსმენელებთან ურთიერთობაში.

1.4 კოლეჯის ტერიტორიაზე პროფესიულ სტუდენტებს / მსმენელებს ეკრძალებათ:

- თამბაქოს მოწევა კოლეჯის შენობაში;
- ხმაური და მეცადინეობისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიწვევს პროფესიული სტუდენტის / მსმენელის გაფრთხილებას;
- კოლეჯის შენობაში ცეცხლსასროლი ან გაზის იარაღით შესვლა, რაც გამოიწვევს კოლეჯის მხრიდან გაფრთხილებასა და შესაბამის კანონით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას;
- კოლეჯის ტერიტორიაზე აზარტული თამაშები, რაც გამოიწვევს კოლეჯის მხრიდან გაფრთხილებას.
- ალკოჰოლური საშუალებების გამოყენება, ან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ კოლეჯში გამოცხადება, რაც გამოიწვევს კოლეჯის მხრიდან გაფრთხილებას.
- ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება, გავრცელება, რაც გამოიწვევს ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გამოცდის ჩატარებისა და გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევა, რაც გამოიწვევს კოლეჯის მხრიდან გაფრთხილებას;
- აუდიტორიული მეცადინეობის ხელის შეშლა ან ჩაშლა, რაც გამოიწვევს კოლეჯის მხრიდან გაფრთხილებას;
- კოლეჯის შენობაში განცხადებების ჩამოხვევა ან გაფუჭება, რაც გამოიწვევს კოლეჯის მხრიდან გაფრთხილებას;
- პროფესიული სტუდენტების / მსმენელების ან / და თანამშრომლებისათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება, რომლის მიზანიც იყო აუდიტორიული მეცადინეობის ან გამოცდის ჩაშლა, ან გაცდენების საპატიოდ ჩათვლა ან მისი ოჯახის წევრებთან

დაწესებულების თანამშრომლობის კონტაქტისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიწვევს კოლეჯის მხრიდან გაფრთხილებას;

- კოლეჯის ქონების დაზიანება, დაკარგვა ან დაუბრუნებლობა, რაც გამოიწვევს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას და კოლეჯის მხრიდან გაფრთხილებას;
- კოლეჯისათვის საჭირო დოკუმენტაციის უნებართვოდ აღება ან განადგურება, რაც გამოიწვევს ამ ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას.
- კოლეჯის ტერიტორიის (შენობისა და ეზოს) დანაგვიანება-დაზინძურება, რაც გამოიწვევს დასუფთავების ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებას და გაფრთხილებას.

1.5 პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა

- პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ დოკუმენტითა და დაწესებულების ეთიკის ნორმებით;
- პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის წარმოება არ უნდა ზღუდავდეს პროფესიული სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, დაწესებულების საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას. სტუდენტის დისციპლინური დევნის საკითხს წყვეტს სპეციალური კომისია, რომელიც იქმნება დირექტორის ბმანებით. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს საკუთარი საქმის განხილვას;
- პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;
- დისციპლინური პასუხისმგებლობა გამოიყენება დაწესებულების სტუდენტების მიმართ, მათ მიერ დაწესებულების ტერიტორიაზე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში;
- პროფესიული სტუდენტის მიმართ გამოიყენება შემდეგი სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:

ა. გაფრთხილება;

ბ. მატერიალური ზიანის ანაზღაურება/დაჯარიმება;

გ. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

დ. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

§2. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვება და წარსადგენი დოკუმენტაცია

2.1 პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვება და წარსადგენი დოკუმენტაცია

- პროფესიული სტუდენტის სტატუსი პირს ენიჭება კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემის დღიდან;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტის მონაცემები შეიტანება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის შემდგომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №127/ნ ბრძანების (საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ) მოთხოვნების დაცვით (e-vet.emis.ge);
- საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა შესახებ შეტანილი ყოველგვარი ცვლილების შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს დადგენილ ვადაში. დაუშვებელია საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა მონაცემებში ცვლილებების შეტანა კოლეჯის დირექტორის ბრძანების გარეშე;
- პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ სტუდენტს. კოლეჯი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც ფორმალური ცნობის (აღიარების) ასევე ნამდვილობის დადასტურების გზით;
- კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთან აფორმებს ხელშეკრულებას სასწავლო მომსახურების შესახებ, რომელსაც ხელს აწერს კოლეჯის სახელით დირექტორი და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი ან არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი - მეორე მხრიდან;
- ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.
- წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათავალი:
 - ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან/და დაბადების მოწმობის ასლი
 - ბ) საბაზო/სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - გ) უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დოკუმენტი;
 - დ) ორი ფოტოსურათი 3x4;

- ე) არასრულწლოვნების შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის ასლი და დაბადების მოწმობის ასლი;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა დოკუმენტი.

2.2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ:

- საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების ფორმა;
- სენსორული (სმენის და მხედველობის) დარღვევის შემთხვევაში;
- აუდიოგრამა (სმენის დარღვევის შემთხვევაში);
- ოფთალმოლოგის მიერ გაცემული ცნობა (მხედველობის დარღვევის შემთხვევაში);
- ქცევითი და ემოციური აშლილობის შემთხვევაში, უფლებამოსილი სპეციალისტის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2.3 მეურვის არსებობის შემთხვევაში დამატებით წარსადგენია:

- მეურვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) ასლი და დედანი;
- მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.
- აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია ასევე აპლიკანტის მიერ კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში დოკუმენტების არ წარმოდგენა.
- კოლეჯი ვალდებულია, აპლიკანტები ჩარიცხოს პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.

2.4 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ა) რეგისტრაცია;
- ბ) მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ფუნქციური და აკადემიური უნარების შეფასება;
- გ) აპლიკანტის მიერ პროფესიის პრაქტიკული მოსინჯვა;

დ) დაწესებულებაში ჩარიცხვა.

პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის / აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას, ისევე, როგორც პრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას.

§3. სტუდენტის დატვირთვა და კრედიტების განაწილება

- კვირაში პროფესიული სტუდენტის დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს.
- კრედიტი გამოხატავს ცალკეული მოდულით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას).
- კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებს შორის.
- საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს.
- კრედიტების განაწილება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებს შორის უნდა იძლეოდეს მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობას.
- პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა/დატვირთვა ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 საათის განმავლობაში.

§4. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერება და აღდგენა

- კოლეჯის პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს კოლეჯს განცხადებით, მისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და მისი სასწავლო პროცესში მონაწილეობისგან და პროფესიული სტუდენტის სხვა უფლება - მოვალეობებისგან დროებით განთავისუფლების თაობაზე;
- ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის გარდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:
 - ფინანსური დავალიანების დადგენილ ვადებში გადაუხდელობა;
 - პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯთან კავშირის გაწყვეტა ერთ თვეზე მეტხანს;
 - უცხო ქვეყანაში სწავლა;
 - დებულების, კოლეჯის სხვა შიდა სამართლებრივი აქტების უხეში ან/და სისტემატური დარღვევა, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს კოლეჯს, მის პროფესიულ სტუდენტებს, თანამშრომლებს;
 - სასწავლო პროცესის დაწყებიდან ზედიზედ ორი თვის განმავლობაში არ გამოცხადება;
 - სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;

- ჯანმრთელობის და ოჯახური მდგომარეობის გამო;
- მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება და განხორციელდება შესაბამისი მონაცემების შეტანა პროფესიულ სტუდენტთა რეესტრში. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, კოლეჯი და პროფესიული სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე;

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სწავლისათვის გადახდილი თანხა პროფესიულ სტუდენტს უკან არ უბრუნდება. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე სწავლის გადახდილი საფასური;
- პირი პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას სწავლის საფასურს იხდის აღდგენის დროისათვის დადგენილი ოდენობით;
- პროფესიული სტუდენტი პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდეგ სწავლას აგრძელებს იმ ეტაპიდან, საიდანაც შეუჩერდა მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი და პროფესიული სტუდენტი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შემდეგ სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით;
- პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შესაძლებელია თუკი აღმოფხვრილი იქნება ის გარემოებები, რაც გახდა პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი;
- პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ბრძანება და განხორციელდება შესაბამისი მონაცემების შეტანა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში (e-vet.emis.ge);
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, რის შემდეგაც პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი;
- იმ შემთხვევაში, თუ ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზედაც ირიცხებოდა პროფესიული სტუდენტი მისთვის სტატუსის შეჩერებამდე გაუქმებულია ან შეცვლილია მისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს მსგავს საგანმანათლებლო პროგრამაზე ან გადავიდეს სხვა დაწესებულებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და კოლეჯის შიდასამართლებრივი აქტების შესაბამისად.
- პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ხოლო შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში მოქმედებს წინამდებარე წესის მოთხოვნები.

- პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლას გააგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
- პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენა დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის კოლეჯის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

§5. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

- პირადი ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;
 - შეჩერებული სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტისათვის სამართლებრივი აქტით დადგენილი სტატუსის შეწყვეტის ვადის დადგომა - 5 წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, ან დაწესებულების წესდებით განსაზღვრული სხვა საფუძვლისა, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს დაწესებულების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას.
 - გარდაცვალება და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
 - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას, რაც არ ანთავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებების შესრულებისგან.
 - პირის მიერ, რომელსაც შეუწყდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, მოთხოვნის შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს მოთხოვნილი დოკუმენტების გაცემას მისი პირადი საქმიდან გონივრულ ვადებში.
 - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
 - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია იმ დროისათვის კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულების დადგენილი წესით.

§ 6. პროფესიული სტუდენტის მობილობა

კოლეჯში მობილობის განხორციელება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტს სურს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება (შიდა მობილობა) ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა (გარე მობილობა);

ბ) მობილობა შესაძლებელია ნებისმიერ დროს. ამის შესახებ პროფესიულმა სტუდენტმა

განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის ადმინისტრაციას. მობილობის მსურველმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯს, რასაც თან უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადი საქმე;

ბ) ცნობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უკვე ათვისებული/აღიარებული კრედიტების შესახებ ან პროფესიული სტუდენტის ბარათი, დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით.

მობილობის განხორციელებამდე მოწმდება პროფესიული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან, ასევე პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობა დაწესებულების ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, რის საფუძველზეც განიხილება გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების შესაძლებლობის საკითხი. მოდულური პროგრამაზე მობილობისას, პირი წარმოადგენს მის მიერ გავლილი მოდულების გავლის დამადასტურებელ ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტს და დაწესებულება ავტომატურად ჩაუთვლის მას გავლილ მოდულებს/სწავლის შედეგებს; მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ავტომატურად ჩაეთვლება მოდულის გავლა. პროფესიული სტუდენტის მობილობის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

§ 7. ფორმალური განათლების აღიარება

7.1 ფორმალური განათლების აღიარება

- პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კრედიტების აღიარების კომისიის მიერ, მიღებული ცოდნისა და უნარების პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის

დადგენის გზით;

- ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:

ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;

ბ) მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

- ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში – განმცხადებელი) უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.
- თუ პროგრამის უკვე ათვისებული კომპონენტის სახელწოდება მცირედი განსხვავდება კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისაგან, თუმცა შინაარსობრივად, ასათვისებელი კვალიფიკაციების მიხედვით იდენტური ან თითქმის იდენტურია, ის შეიძლება იქნას აღიარებული კოლეჯის მიერ;
- ამ მუხლის 39.1.5 ქვეპუნქტის გათვალისწინებით, თუ პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგები იდენტურია დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების, მისი აღიარება ხდება ავტომატურად;
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების წესის“ შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N147 ბრძანებით.

§ 8. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

- პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება - კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
 - ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური) შემთხვევაში შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს, როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
- განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას: და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

- სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების მიმართულებისა და სწავლის შედეგების მიხედვით.
- შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.

§ 9. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

- მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში კრედიტის მინიჭება ხდება მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურების საფუძველზე.
- შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
- განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.
- განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. ის ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი.
- ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა;

- განმსაზღვრელ შეფასებამდე შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს პროფესიული სტუდენტების დეტალურ ინფორმირებას შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ.

9.1 საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების მექანიზმი

- საკვალიფიკაციო გამოცდა სავალდებულოა ყველა პროფესიულ სტუდენტისთვის, რომელიც ამთავრებს იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელშიც კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობად განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება.
- საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების უფლების მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და ჩააბაროს შუალედური შეფასება.
- საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკა არ უნდა გასცდეს საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების სწავლის შედეგების თემატიკას (თეორია და პრაქტიკა).

9.2. განმეორებითი გამოცდა

- საკვალიფიკაციო გამოცდაზე გაუცხადებლობის ან არადადამკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, განმეორებით გავიდეს გამოცდაზე, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს.
- განმეორებითი გამოცდის ჩატარების უფლებით სარგებლობა პროფესიულ სტუდენტს შეუძლია სამჯერ.

§10. პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების /

შეფასების აპელაციის პროცედურა

- პროფესიულ სტუდენტს, რომელიც არ ეთანხმება მოდულის დასადასტურებლად მიღებულ შეფასებას, უფლება აქვს შედეგის გამოქვეყნებიდან ერთი დღის ვადაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს კოლეჯის დირექტორს მიღებული შეფასების გადასინჯვის მიზნით.
- შედეგების გასაჩივრებიდან მაქსიმუმ 2 დღის ვადაში იქმნება საპრეტენზიო კომისია (წევრები განისაზღვრება დირექტორის სამართლებრივი აქტით), რომელიც განიხილავს საჩივარს (შეფასებაში მონაწილეობენ მხოლოდ კომისიის წევრები - დარგის სპეციალისტები). საპრეტენზიო კომისიას უფლება აქვს განმეორებით ჩაატაროს შედეგის დადასტურება.
- შეფასებისას საპრეტენზიო კომისია იყენებს პროგრამის კომპონენტის მოდულში მითითებულ შეფასების კრიტერიუმებს.

- საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შეიძლება გააუმჯობესოს, გააუარესოს ან უცვლელი დატოვოს გამოცდაზე/საჯარო დაცვაზე მიღებული შეფასება. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება პროფესიულ სტუდენტს ეცნობა კომისიის მუშაობის დასრულებიდან 1 დღის ვადაში. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და ყველა წევრი.
- კომისიის შემადგენლობა უნდა იყოს კენტი. კომისიაში უნდა შედიოდეს დარგის სპეციალისტი(სათანადო მიმართულებით), სასწავლო პროცესის მენეჯერი და დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სხვა პირი/პირები. კომისია უფლებამოსილია გადაწყვეტილების მიღებამდე ჩაატაროს ინტერვიუ გასაჩივრებული შედეგ(ებ)ის შესაბამისი მოდულის განმახორციელებელ პირთან/პროფესიული განათლების მასწავლებელთან, გამსაჩივრებელ პროფესიულ სტუდენტთან;
- თუ პროფესიული სტუდენტი ასაჩივრებს პროცედურულ დარღვევას, დირექტორის მიერ ბრძანებით განსაზღვრული პირი ახდენს ინტერვიურებას პროფესიული განათლების მასწავლებელთან და იმავე პროგრამის სხვა პროფესიულ სტუდენტებთან, თუ აღნიშნული ფაქტი დადასტურდება პროფესიულ სტუდენტს მიეცემა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება უსასყიდლოდ.

§11. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

- კვალიფიკაციის მოსაპოვებლად დადასტურებული უნდა იქნას პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ყველა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგი.
- პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოთხოვნის შემთხვევაში კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე მიეცემა სერთიფიკატი, რითაც დასტურდება მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად დაუდასტურებლობისას კოლეჯი, მოთხოვნის შემთხვევაში, გასცემს ცნობას აღნიშნული მოდულის ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ.
- იმ საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლითაც განსაზღვრულია კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობად საკვალიფიკაციო გამოცდის და შუალედური შეფასების ჩაბარება, კვალიფიკაცია მიენიჭებათ იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებენ წინამდებარე პირობას.
- პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია დადგენილი წესით ინახება კოლეჯში შემდგომი დამუშავებისა და არქივში გადაცემისათვის.
- დიპლომის და სერთიფიკატის (დანართები) გაცემასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომელსაც არ ითვალისწინებს წინამდებარე წესი რეგულირდება კოლეჯის საქმისწარმოების წესითა და მოქმედი კანონმდებლობით.

§12. პროფესიული სტუდენტისათვის ცნობის გაცემის

პროცედურა

პროფესიულ სტუდენტს შეუძლია კოლეჯიდან აიღოს ცნობა:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- აკადემიური, გავლილი მოდულების, მიღებული შეფასებებისა და მოპოვებული კრედიტების შესახებ;
- კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ;
- ინვოისი;
- საგამოცდო განრიგი;
- პროფესიულმა სტუდენტმა ცნობის დამზადების შესახებ განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს.
- განცხადების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში დამზადდება ცნობა.

§13. ბიბლიოთეკა

კოლეჯის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტებს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თანამედროვე წიგნადი ფონდით, როგორც ელექტრონული სახის, ასევე მატერიალურად ბიბლიოთეკაში არსებული რესურსებით.

ბიბლიოთეკაში სტუდენტს შეუძლია:

- გაიტანოს მისთვის სასურველი წიგნი;
- მიიღოს სრული ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია და კონსულტაცია ბიბლიოთეკარისგან;
- ისარგებლოს სამკითხველო დარბაზით.
- გადაიღოს ბიბლიოთეკაში არსებული მასალების ქსერო ასლები.
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აღრიცხულია ჟურნალში.